შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
"UNITED AIRPORTS OF GEORGIA" LLC

N 13

" " "
01 02 2024

ბრძანება

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" გენერალური დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის N18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. შევიდეს ცვლილება შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" დირექტორის 2021 წლის 14 აპრილის N18 ბრძანების 1-ელ მუხლში, კერძოდ, დაემატოს 1.8 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:
   „1.8.. მსუბუქი ავტომობილებისათვის განსაზღვრულ ადგილებზე, შესაძლებელია დამზადდეს ავტოსადგომზე დგომის ერთთვიანი საშვი, რომლის საფასური შეადგენს 40 ლარს. ავტოსადგომზე დგომის ერთთვიანი საშვის მფლობელს შეეძლება ერთი თვის განმავლობაში, მსუბუქი ავტომობილისათვის განსაზღვრულ ადგილზე, მრავალჯერადად განათავსოს საკუთარი ავტომობილი. ავტოსადგომზე დგომის ერთთვიანი საშვი, მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლოა გაიცეს:
   1.8.1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" თანამშრომლებზე;
   1.8.2. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" კონტრაქტორ კომპანიებზე;
   1.8.3. დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მუდმივი საშვის მქონე პირებზე;
2. ბრძანების ყველა სხვა პირობა დარჩეს უცვლელი.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ოპერირების დირექტორს.
4. ბრძანება გაეცნოს ოპერირების დირექტორს, ინფრასტრუქტურის დირექტორს, საავიაციო უშიშროების დირექტორს, ხარისხის აუდიტის და კონტროლის დირექტორს, აეროპორტების დირექტორებს, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს, ფინანსური დეპარტამენტის უფროსს, იურიდიულ სამსახურს, ბუღალტერიას, შემოსავლების აღრიცხვის და ბილინგის სამსახურს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი **ირაკლი ქარქაშაძე**